ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 54

"21" ნოემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №31-ის წინ რეგისტრირებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.013.003) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №31-ის წინ რეგისტრირებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.013.003) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის №25.1813.2038 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №31-ის წინ რეგისტრირებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.013.003) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სილქ როუდ ბიზნეს ცენტრისთვის" (ს/ნ. 203825851) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ბრენდებისა და ინვესტორი სახელმწიფოების დროშების განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 20400 (ოცი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე